

იოანე პავლე II

*ანჯელუსი*

*ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2000 წ.  
ღვთის განცხადების დღესასწაული*

“ახლა ჩემი ფიქრები ქრისტიანული აღმოსავლეთისკენაა მიპყრობილი, სადაც ცხოვრობენ და სახარებას აცხადებენ ჩემი რწმენისმიერი ძმები - მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქები: კონსტანტინოპოლში, ანტიოქიაში, იერუსალიმში, მოსკოვში, რუმინეთში, საქართველოსა და ყველა სხვა მიწაზე, სადაც ეს ეკლესიები განკაცებული ღვთის სიტყვის სადიდებელს აღავლენენ. მსურს ყველა მათგანი სახელობით ჩამოვთვალო და გამოვთქვა დიდი იმედი, რომ ნათელი ქრისტესი, რომლის შობასაც ამ პერიოდში დღესასწაულობენ, უხვად მოჰმადლებთ მათ ყოველივე იმას, რასაც ძალუმს გააძლიეროს განცხადება ერთადერთი მაცხოვრებელი სახარებისა”.

(პაპი იოანე პავლე II-ის სიტყვები ანჯელუსის შუადღის ლოცვისას, ხუთშაბათს, 2000 წლის 6 იანვარს, ღვთის განცხადების დღესასწაული)